# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის

**ბრძანება №4**

**2011 წლის 26 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

## ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ფორმის დამტკიცების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-14 მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2011 წლის 11 მარტის №4385 კანონის მე-2 მუხლის მე-4 და მე-19 პუნქტების, ,,ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, $8^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ქვეპუნქტისა და $30^3$ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის თანდართული ფორმა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2007 წლის 6 ნოემბრის №1/002 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ა. ხეთაგური**

**საქართველო**
**ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის**
**გენერალური ლიცენზია**

სერია_____ № _____

გაცემულია _____
იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება

ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მიზნით, საქართველოს სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის 20 _____ წლის „_____“„_____“ დადებული
_____
_____ხელშეკრულების საფუძველზე.
ლიცენზია შეიცავს აღნიშნული ხელშეკრულების იდენტურ პირობებს და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობაზე ხელშეკრულების _____ დანართში წარმოდგენილ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი ფართობის შიგნით, რომელიც მოიცავს
_____
_____
სალიცენზიო ფართობის ადგილმდებარეობა, რაიონის/მუნიციპალიტეტის დასახელება
_____
_____
_____

_____

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____რაიონის/მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

ხელშეკრულებით განსაზღვრული სალიცენზიო ფართობი გეგმაზე
_____
_____კმ$^2$-ია.
სიტყვიერად

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 20_____წლის „_____“ „ _____“ დან
20_____წლის „_____“ „ _____“ მდე
ლიცენზია გაცემულია _____ წლით.

| | |
|---|---|
| საჯარო სამართლის იურიდიული პირი<br>ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსი | ლიცენზიის მიმღები |
| _____<br>ხელმოწერა<br>მ.ა. | _____<br>ხელმოწერა<br>მ.ა. |

ლიცენზიის გაცემის თარიღი

20_____წლის „ _____“„ _____“

ლიცენზიის ყალბი ფორმის დამზადება ისჯება კანონით